



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
ა(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“

ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20

მუსიკალური ინსტრუმენტების აქსესუარებისა და ნაწილების შესყიდვა

CPV კოდი - 37300000

სავარაუდო ღირებულება 3 500 ლარი დღგ-ს გათვალისწინებით

სატენდერო დოკუმენტაცია

საკონტაქტო პირი:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
ა(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“-ს
უფროსი სპეციალისტი: დავით თათარაშვილი

ტელ: (995 341) 22 22 43, მობ: 595 85 11 06

2016 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. ტექნიკური დავალება.....	4
3. სხვა მოთხოვნები.....	5
4. დამატებითი ინფორმაცია	5
5. დანართი №1.....	6
6. დანართი №2.....	7
7. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....	8-10

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.
- 1.2. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- 1.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
- 1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭედის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
- 1.5. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- 1.6. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დავალება

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ მოთხოვნებზე

2.1. ანგარიშსწორების პირობები:

2.1.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.1.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

2.1.3. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.1.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.1.5. დაფინანსების წყარო: 2016 წლის საკუთარი შემოსავლები.

2.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

2.2.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ტექნიკურ მახასიათებლებს:

№	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზ. ერთეული	რაოდენობა
1	პიუპიტრი	დასაკეცი, სიმაღლის რეგულირებით, უნივერსალური: დამჯდარ და დამდგარ მდგომარეობაში გამოსაყენებლად, კომპლექტში უნდა მოყვებოდეს შალითა	ცალი	2
2	კანიფოლი ჩელოსთვის	კანიფოლი ჩელოსთვის	ცალი	2
3	კანიფოლი კონტრაბასისთვის	კანიფოლი კონტრაბასისთვის	ცალი	2
4	კანიფოლი ვიოლინო / ალტისთვის	კანიფოლი ვიოლინო / ალტისთვის	ცალი	3
5	ვიოლინოს სიმები	ვიოლინოს სიმების კომპლექტი, საშუალო დაჭიმულობით	კომპლექტი	3
6	ალტის სიმები	ალტის სიმების კომპლექტი	კომპლექტი	2
7	ჩელოს სიმები	ჩელოს სიმების კომპლექტი, საშუალო დაჭიმულობით	კომპლექტი	1
8	კონტრაბასის სიმები	კონტრაბასის სიმების კომპლექტი, საშუალო დაჭიმვით	კომპლექტი	1
9	ვიოლინოს სამხრე	ვიოლინოს სამხრე 4/4-3/4	ცალი	2
10	კონტრაბასის შალითა	კონტრაბასის შალითა 3/4	ცალი	1

საქონლის აღწერისას გამოყენებული მწარმოებელი ქვეყნის, კომპანიის ან/და მოდელის მითითების შემთხვევაში იგულისხმება მსგავსი საქონელი

2.2.2. ქარხნული წუნის (დეფექტის) შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დეფექტური საქონლის შეცვლა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2.3 ზემოაღნიშნული საქონელი უნდა იყოს ახალი.

2.2.4 საგარანტიო ვადა: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი (გარდა კანიფოლისა).

3. სხვა მოთხოვნები:

3.1 საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი:

3.1.1 საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) სამუშაო დღე.

3.1.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქალაქი რუსთავი, მ. კოსტავას გამზ. №20.

3.2 სატენდერო წინადადების ფასი:

3.2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

3.3 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

3.3.1. სატენდერო წინადადების ფასი: განფასებული დანართი №1;

3.3.2. რეკვიზიტები: დანართი №2.

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს სტატუსის: „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ ან „ტენდერი შეწყვეტილია“ მინიჭებამდე.

4.2. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა უნდა დასაბუთდეს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინვოის(ებ)ით.

სატენდერო წინადადების ფასი _____ ლარი

№	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია	მოდელი	სავალდებულო გარანტია
1	პიუპიტრი	ცალი	2						1 წელი
2	კანიფოლი ჩელოსთვის	ცალი	2						
3	კანიფოლი კონტრაბასისთვის	ცალი	2						
4	კანიფოლი ვიოლინო / ალტისთვის	ცალი	3						
5	ვიოლინოს სიმები	კომპლექტი	3						1 წელი
6	ალტის სიმები	კომპლექტი	2						1 წელი
7	ჩელოს სიმები	კომპლექტი	1						1 წელი
8	კონტრაბასის სიმები	კომპლექტი	1						1 წელი
9	ვიოლინოს სამხრე	ცალი	2						1 წელი
10	კონტრაბასის შალითა	ცალი	1						1 წელი
სულ ჯამი:									

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. რუსთავი

2016 წელი

ერთი მხრივ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით და მეორე მხრივ, --- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი ----- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (-----) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „დღე“. „კვირა“, „თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 1.6 „მხარე“ - „შემსყიდველი“ ან/და „მიმწოდებელი“.
- 1.7 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 მუსიკალური ინსტრუმენტების აქსესუარებისა და ნაწილების შესყიდვა.(CPV37300000)
- 2.2 „მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა მოცემულია ხელშეკრულებაზე თანდართულ დანართი №1-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები დავადები

- 4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.
- 4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღე.
- 4.4 დაფინანსების წყარო: 2016 წლის საკუთარი შემოსავლები.

5. მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1 „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.
- 5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“-ს მიერ განსაზღვრულ იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის.
- 5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა;
 - ბ) „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

- 6.1 საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღე.
- 6.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქალაქი რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 7.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
 - ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
 - ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლები მომსახურება.
- 7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
 - ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- 7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია
 - ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული, ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
 - ა) სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.
 - ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.
 - გ) ქარხნული წუნის (დეფექტის) შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დეფექტური საქონლის შეცვლა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.
 - დ) საგარანტიო ვადა: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი (გარდა კანიფოლისა).

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

- 8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.
- 8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:
 - ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება,
 - ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
 - გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.
- 8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.1%** -ის ოდენობით.
- 9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **1%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

- 11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
- 11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
- 11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი